კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილება

დოკუმენტი №5072242

განაცხადი №AR1768479

თარიღი : 18.08.2020

განმცხადებელი: გოჩა ხოჯელანი პ/ნ: 01006014753

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი , გამზირი ქ. წამებულის , N 16;

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

განაცხადზე კომისიის/საბჭოს შეფასება "დადებითი"
კომისიის/საბჭოს ჩატარების თარიღი: 27.08.2020

კომისიის/საბჭოს დასკვნა - რეკომენდაცია:

მიეცეს დადებითი შეფასება ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. N16-ში (მეგლი) სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების ესკიზის წინასწარი შეთანხმების საკითხს.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990124171463921

№10/1671

19 / მაისი / 2021 წ.

შპს - "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი"-ს რექტორის თანაშემწეს
ქალბატონ მანანა კალანდაძეს
ელ.ფოსტა:mail@ssu.edu.ge

ქალბატონო მანანა,

სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი 13.05.2021 წლის N372/2 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი N16-ში მდებარე საქ. ტექ. უნივერსიტეტს, საავიაციო ინსტიტუტს (ს/კ 01.17.01.108.012) (ბრძანებაში იდენტიფიცირებული - ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი N14-თან) საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის N3/181 ბრძანების საფუძველზე მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი (იხ. დანართი).

აქვე გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ საკადასტრო ერთეულში შემავალი შენობა № 2/1 წარმოადგენს ძეგლის ტერიტორიაზე მდებარე არაღირებულ ნაგებობას, რომელზეც ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ძეგლის მიმართ დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი და შეზღუდვები.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პაატა გაფრინდაშვილი

საქართველოს კულტურის,
ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის
2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების
დანართი №2-ის ამონაწერი

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის საადრიცხვო ბარათი № 010501408



1. სახელწოდება - საქ. ტექ. უნივერსიტეტი საავიაციო ინსტიტუტი
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი 14
3. სახეობა - არქიტექტურის
4. თარიღი - მე-19 საუკუნის დასასრული



პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

თბილისის ფილიალი#1
ბიზნეს კლიენტთა განყოფილება

ავტორი : მაკრინე ფარჯიანი

ტელეფონი : +995 32 2202222 (შიდა 5188)
ფაქსი : +995 32 2202223
ელ-ფოსტა : makrine.parjiani@procredit-group.com

თარიღი : 17.06.2024

სს "პროკრედიტ ბანკი" როგორც იპოთეკარი, თანახმაა მესაკუთრის მიერ უძრავ ქონებაზე ს/კ 01.17.01.108.012 (მის. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფალის გამზირი №16), განხორციელდეს სამშენებლო სამუშაოები, მათ შორის მოხდეს შენობა ნაგებობა №2-ის დემონტაჟი, იმ პირობით რომ 5012.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე და მასზე არსებულ და მომავალში აღმართულ შენობა-ნაგებობებზე გავრცელდება სს „პროკრედიტ ბანკის“ იპოთეკის უფლება სრულად.

ს.ს “პროკრედიტ ბანკი”

ეკა მაჩაიძე
ფილიალის მმართველი

მაკრინე ფარჯიანი
ბიზნეს კლიენტთა მრჩეველი

Part of the ProCredit Group

21 Al. Kazbegi Ave.
0160 Tbilisi, Georgia
ალ. ყაზბეგის გამზ. 21
0160 თბილისი, საქართველო

Tel. / ტელ: +995 (0) 32 2202222
Fax / ფაქსი: +995 (0) 32 2202223
info@procreditbank.ge
www.procreditbank.ge

JSC ProCredit Bank / ს.ს. პროკრედიტ ბანკი
SWIFT / BIC : MIBGGE22
Tax-Reg.-No / საიდენტიფიკაციო კოდი:
204851197

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

15.05.2019

ProCredit Bank, 21 Al. Kazbegi Ave., 0160 Tbilisi, Georgia
პროკრედიტ ბანკი, ალ. ყაზბეგის გამზ. 21, 0160 თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

ტელ.: (+995 32) 2722222
ფაქსი: (+995 32) 237 82 24
მის.: ჟ. შარტავას ქ. №7
ქ. თბილისი, 0160, საქართველო

სათავო ოფისი
ოპერაციული განყოფილება

ავტორი : ნონა კალანდაძე
ტელეფონი : +995 32 2202222 (შიდა 1521)
ფაქსი : +995 32 2202223
ელ-ფოსტა : nona.kalandadze@procreditbank.ge

თარიღი : 15.05.2019

თემა: მინდობილობა უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

სს „პროკრედიტ ბანკის" დირექტორებმა: ალექსი მატუამ (პ/ნ 19001003556) და ქეთევან ხუსკივაძემ (პ/ნ 01019006029) შემდგომში „მინდობილობის გამცემი" პირები, მივანიჭეთ უფლებამოსილება ამავე ბანკის შემდეგ თანამშრომლებს:

I სვეტი:

II სვეტი:

გრიგოლ კაციტაძე პ/ნ 04001001988

თეონა ფოფხაძე პ/ნ 01019030018

1801161

წარმოადგინონ სს „პროკრედიტ ბანკი" სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში. ამასთან, ნებისმიერი, მეორე სვეტში მოცემული პირი, უფლებამოსილია ხელი მოაწეროს ნებისმიერ, პირველი სვეტში მოცემულ პირთან ერთად ბანკის მიერ გაცემულ წერილებს და ამასთან დაკავშირებით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება.

აღნიშნული უფლებამოსილება ზემოჩამოთვლილ პიროვნებებს მინიჭებული აქვთ წინამდებარე მინდობილობაზე მითითებული თარიღიდან, მინდობილობის გადანდობის გარეშე. მინდობილობა ძალაშია განუსაზღვრელი ვადით, ბანკის მიერ არქიტექტურის სამსახურში მინდობილობის გაუქმების შესახებ შესაბამისი წერილობითი დოკუმენტის წარდგენამდე.

პატივისცემით,

სს „პროკრედიტ ბანკი"

ალექსი მატუა	ქეთევან ხუსკივაძე	ნონა კალანდაძე
დირექტორი	*დირექტორი*	*იურისტი*

№ OG24-0957842 D 10 06 2024

შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი“
ელ-ფოსტა: t.abazadze@ssu.edu.ge
ტელეფონი: 599 04 09 69

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრირებული IN24-0954311, დათარიღებული 28/05/2024წ.) წმინდა ქეთევან დედოფლის გამზ. #16-ში (ს/კ 01.17.01.108.012) მშენებლობის გენ. გეგმის შეთანხმების შესახებ.

გაცნობებთ, რომ IN22-0694462-ზე გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე თქვენს მიერ წარმოდგენილი გენ. გეგმა შეთანხმებულია. „კომპანია“ არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამშენებლო სამუშაოები წარმოდგენილი გენ. გეგმის შესაბამისად.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ ,,კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ ,,კომპანიის“ წარმომადგენელს:

მესამე საოპერაციო ცენტრის მენეჯერი ლევან გაგნიძე. ტელ: 591 70 75 06.

დანართი: საპროექტო დოკუმენტაცია - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

ივანე გაბიტაშვილი

წყალსადენის ქსელების დირექტორის მოადგილე/
საოპერაციო ცენტრების დეპარტამენტის უფროსი

მ. ლოლაძე
293 11 11 (51 13)



GWP შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"
საოპერაციო ცენტრი №3
შეთანხმებულია
ხელმძღვანელი
რეგ.№ "29" 05 2024წ
სამუშაოების დაწყების წინ გამოძახებულ
იქნას GWP-ს წარმომადგენელი
ტელ: 032 2 93 11 11

შეთანხმება

უძრავი ქონების ვალდებულებით დატვირთვისა და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ

წინამდებარე შეთანხმება (შემდგომში **„შეთანხმება“**) დადებულია ქ. თბილისში, 2022 წლის 29 ივლისს შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, შპს **„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“**, საიდენტიფიკაციო ნომერი: 203826002 (შემდგომში **„GWP“**), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ირაკლი ბაბიხადიას (პ/ნ 01031000434) მიერ; და

მეორე მხრივ, **შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი“**, საიდენტიფიკაციო ნომერი: 206155328 (შემდგომში **„მესაკუთრე“**) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის სერგო ტეფნაძის (პ/ნ 01028001559) მიერ;

„GWP“ და „მესაკუთრე“ ერთობლივად მოხსენიებულნი როგორც **„მხარეები“**, ხოლო ცალ-ცალკე - როგორც **„მხარე“**;

ვინაიდან,

(ა) „მესაკუთრის“ საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია 5012.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (შემდგომში **„მიწის ნაკვეთი“**), მისამართი: ქალაქი თბილისი, გამზირი ქ. წამებულის, N16; საკადასტრო კოდი: 01.17.01.108.012;

(ბ) „მესაკუთრეს“ სურს „მიწის ნაკვეთზე“ სამშენებლო ნორმებისა და წესების დარღვევით უკვე განთავსებულ კაპიტალურ ნაგებობაზე აწარმოოს სამშენებლო სამუშაოები (შემდგომში „**ნაგებობა**“);

(გ) „მიწის ნაკვეთის“ მიმდებარედ გაედინება „GWP“-ს მფლობელობაში არსებული დ=300მმ-იანი წყალარინების მილი (შემდგომში **„მილი“**), რომელთან მიმართებით, უკვე დარღვეულია „მესაკუთრის“ მიერ „ნაგებობის“ განთავსების სამშენებლო ნორმები და წესები, კერძოდ, დაშორება წყალარინების მილიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობამდე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი, რის გამოც, „მილის“ დაზიანებისას, „მიწის ნაკვეთზე“ მდებარე კაპიტალურ ნაგებობას შესაძლებელია მიადგეს ზიანი (ზარალი);

ამდენად,

1. წინამდებარე შეთანხმების მიზნებისთვის, ტერმინი **„მესაკუთრე“** გულისხმობს, როგორც „მიწის ნაკვეთის“ ამჟამინდელ მესაკუთრეს, ასევე მის ნებისმიერ უფლებამონაცვლეს ან/და სამართალმემკვიდრეს, ისევე როგორც იმ ნებისმიერ პირს (იქნება ეს ფიზიკური პირი,

იურიდიული პირი თუ სხვა სახის ორგანიზაცია), რომელიც მომავალში შეიძენს საკუთრების უფლებას მიწის ნაკვეთზე ან/და მასზე განთავსებულ ნებისმიერ სხვა უძრავ ქონებაზე ან მათ ნებისმიერ ნაწილზე.

2. „მესაკუთრე“ კისრულობს ვალდებულებას, „მილის“ დაზიანების შემთხვევაში, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში უზრუნველყოს „GWP“-ის შესაბამისი სამსახურების ან/და მისი ქვეკონტრაქტორების (რაც ასევე გულისხმობს მათ შესაბამის სამშენებლო ტექნიკასა და მაქანა-მოწყობილობებს) შეუფერხებელი და ოპერატიული დაშვება „მილთან“ შესაბამისი საავარიო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით.

3. „მესაკუთრე“ კისრულობს ვალდებულებას, მისი ბრალით „მიწის ნაკვეთზე“ ან/და „მიწის ნაკვეთის“ მიმდებარედ განთავსებული „მილის“ დაზიანების შემთხვევაში, „GWP“-ის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ამგვარი მოთხოვნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, სრულად აუნაზღაუროს „GWP“-ს დაზიანებული „მილის“ აღდგენასთან და განხორციელებულ სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით გაწეული დასაბუთებული ხარჯები.

4. „მესაკუთრე“ წინასწარ აცხადებს თანახმობას, მისი ადგილზე არყოფნის შემთხვევაში, აუცილებლობიდან გამომდინარე, „GWP“-ის ან/და მისი შესაბამისი ქვე-კონტრაქტორის თანამშრომლებმა, „მილის“ საავარიო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით, მიიღონ ადეკვატური ზომები, რაც შეიძლება შეზღუდვის გარეშე მოიცავდეს ეზოს/მიწის საფარის ნაწილის მოხსნას, გათხრას ან/და საჭიროების შემთხვევაში, ღობის ნაწილ(ებ)ის დემონტაჟს ან/და სხვა სახის კაპიტალური ნაგებობ(ებ)ის დემონტაჟს .

5. „მიწის ნაკვეთზე“ ან/და „მიწის ნაკვეთის“ მიმდებარედ განთავსებული „მილის“ დაზიანების შემთხვევაში, ისევე, როგორც ხსენებული დაზიანების აღმოფხვრის/ლიკვიდაციის სამუშაოების წარმოების შემთხვევაში (ეზოს/მიწის საფარის ნებისმიერი დაზიანება ან/და საჭიროების შემთხვევაში, ღობის ნაწილ(ებ)ის ან/და სხვა სახის კაპიტალური ნაგებობ(ებ)ის დემონტაჟის აუცილებლობა), „GWP“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას „მესაკუთრისთვის“ „ნაგებობის“ ან/და სხვა „მიწის ნაკვეთზე“ განთავსებული ობიექტის დაზიანებით (ეზოს/მიწის საფარის ნებისმიერი დაზიანება ან/და საჭიროების შემთხვევაში, ღობის ნაწილ(ებ)ის ან/და სხვა სახის კაპიტალური ნაგებობ(ებ)ის დემონტაჟი) მიყენებულ ნებისმიერი სახის ზიანზე (ზარალზე), იქნება ეს პირდაპირი თუ ირიბი ზიანი (ზარალი), მატერიალური თუ არამატერიალური, ფაქტობრივი თუ მიუღებელი შემოსავალი ან/და სხვა. ასეთი სახის ზიანზე, სრულად პასუხისმგებელი იქნება „მესაკუთრე“.

6. „მესაკუთრე“ წინასწარ, უპირობოდ და გამოუთხოვადად, უარს აცხადებს ყველა არსებულ თუ სამომავლო მოთხოვნაზე (მოთხოვნის უფლებაზე), რაც უკავშირდება „მიწის ნაკვეთზე“ ან/და „მიწის ნაკვეთის“ მიმდებარედ განთავსებული „მილის“ დაზიანების ან/და „GWP“-ის მიერ „მილზე“ დაზიანების აღმოფხვრის/ლიკვიდაციის შედეგად „მესაკუთრისთვის“ ან/და „მიწის ნაკვეთზე“ მდებარე შენობა-ნაგებობაში განთავსებული პირებისთვის „ნაგებობის“

ან/და „მიწის ნაკვეთზე“ განთავსებული სხვა ობიექტის დაზიანებით მიყენებულ ზიანს (ზარალს) (იქნება ეს პირდაპირი თუ ირიბი ზიანი (ზარალი), მატერიალური თუ არამატერიალური, ფაქტობრივი თუ მიუღებელი შემოსავალი და სხვა) ან გამომდინარეობს აღნიშნულიდან.

7. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე „შეთანხმების“ გაფორმების (ძალაში შესვლის) შემდეგ, ნებისმიერ დროს, „მიწის ნაკვეთზე“ ან/და „მიწის ნაკვეთის“ მიმდებარედ განთავსებული „მილის“ დაზიანებიდან ან დაზიანების აღმოფხვრის/ლიკვიდაციის მიზნით წარმოებული სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან გამომდინარე ზიანთან (ზარალთან) დაკავშირებით, რომელიმე მესამე მხარე განუცხადებს რაიმე სახის პრეტენზიას ან წაუყენებს რაიმე სახის მოთხოვნას „GWP“-ს, ასეთი სახის პრეტენზიის ან/და მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულებას საკუთარ თავზე იღებს „მესაკუთრე“. ამასთან, თუკი „GWP“-ს აღნიშნული პრეტენზიის ან/და მოთხოვნის შედეგად რომელიმე მესამე მხარის სასარგებლოდ დაეკისრება ან მოუწევს რაიმე სახის თანხების გადახდა, „მესაკუთრე“ კისრულობს ვალდებულებას, აუნაზღაუროს „GWP“-ს ყველა მესამე მხარისათვის გადახდილი თანხები (მათ შორის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯები).

8. „მესაკუთრე“ კისრულობს ვალდებულებას „მიწის ნაკვეთის“ და მომავალში მასზე განთავსებული „ნაგებობის“ ან მისი ნებისმიერი ნაწილის გასხვისების შემთხვევაში, გააცნოს წინამდებარე „შეთანხმება“ და მისი შინაარსი ნებისმიერ ახალ შემძენს.

9. წინამდებარე „შეთანხმება“ ძალაში შედის და შესასრულებლად სავალდებულო ძალას იძენს „მხარეების“ მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

10. „მხარეები“ ადასტურებენ, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ წინამდებარე „შეთანხმების“ შინაარსი, იგი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ თავისუფალ ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა „შეთანხმების“ შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად.

11. წინამდებარე „შეთანხმება“ რეგულირდება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. „მხარეთა“ შორის წინამდებარე „შეთანხმების“ ირგვლივ წამოჭრილი ან მისგან გამომდინარე ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ „მხარეები“ ვერ შეძლებენ შეთანხმების მიღწევას, დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს შესაბამისი განსჯადობის სასამართლოს.

13. წინამდებარე „შეთანხმების“ რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მისი სხვა დებულებ(ებ)ის ან/და მთლიანად „შეთანხმების“ ბათილობას.

14. წინამდებარე „შეთანხმება“ ცვლის და აუქმებს „მხარეებს“ შორის შეთანხმების საგანთან დაკავშირებით მანამდე არსებულ ყველა სხვა წერილობით თუ ზეპირ ხელშეკრულებას, შეთანხმებას, გარიგებას ან/და დათქმას.

15. წინამდებარე „შეთანხმება“ შეუზღუდავად ვრცელდება „მხარეების“ უფლებამონაცვლეებზე და სამართალმემკვიდრეებზე, ავალდებულებს მათ და მოქმედებს მათ სასარგებლოდ.

16. „მხარეები“ კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ წინამდებარე „შეთანხმების“ რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. წინამდებარე „შეთანხმების“ რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები გადაიხდება მესაკუთრის მიერ.

17. წინამდებარე „შეთანხმება“ შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად ქართულ ენაზე. თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ „მხარეს“, ხოლო ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს რეგისტრაციის მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად, „მხარეებმა“ უზრუნველყვეს წინამდებარე „შეთანხმების“ ხელმოწერა, ზემოთ პირველად აღნიშნულ თარიღზე.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“

ირაკლი ბაბუხადია
გენერალური დირექტორი

შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი“

სერგო ტეფნაძე
გენერალური დირექტორი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N220999918
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	05.08.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ირმა შარვაძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**თბილისი, ჟ. შარტავას 42**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	591709917
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	20677962800222

მე, ნოტარიუსი ირმა შარვაძე /სანოტარო ბიუროში მდებარე: თბილისი, ჟ. შარტავას 42/ ვამოწმებ ირაკლი ბაბუხადიას (დაბ. 21.08.1980წ. მისამართი: ქალაქი თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა, N 6, ბინა 4, პ/ნ: 01031000434), ხელმოწერების ნამდვილობას, რომელიც შესრულებულია ჩემი თანდასწრებით. დოკუმენტზე ხელმომწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. მე, არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას, შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე პასუხს არ ვაგებ. სანოტარო მოქმედება შესრულებულია ჯუღელის ქუჩა, №10-ში , სადაც მე მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად.

გადახდილია საზღაური: თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“) 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა.
დოკუმენტის 3 ეგზემპლარზე 4 გვერდიან დოკუმნეტზე შესრულებული 12 ხელმოწერის დამოწმებისთვის 48,00 ლარი; სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისთვის 35.00 ლარი, დღგ 14.94 ლარი; რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი;

ნოტარიუსი _____

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N221096822
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.08.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ირმა შარვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ჟ. შარტავას 42
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	591709917
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	37320942256922

მე, ნოტარიუსი ირმა შარვაძე /სანოტარო ბიუროში მდებარე: თბილისი, ჟ. შარტავას 42/ ვამოწმებ გიორგი ლაბაძეს (დაბ. 23.07.1950წ. პ/ნ: 01010003507, მისამართი: ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 19ა, ბინა 20), ხელმოწერების ნამდვილობას, რომელიც შესრულებულია ჩემი თანდასწრებით. დოკუმენტზე ხელმომწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. მე, არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას, შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე პასუხს არ ვაგებ.

გადახდილია საზღაური: თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“) 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა.
დოკუმენტის 3 ეგზემპლარზე 4 გვერდიან დოკუმნეტზე შესრულებული 12 ხელმოწერის დამოწმებისთვის 48,00 ლარი; დღგ 8.64 ლარი; რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი;

ნოტარიუსი _____

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

თბილისი
ენერჯი

მიცკევიჩის ქ. №18ა, თბილისი, 0194, საქართველო
+995 (32) 237 64 93; info@te.ge; www.te.ge

№ 02-01-29435-21
27 / 04 2021

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
წარმომადგენელს ბატონ შოთა ბადალაშვილს
Mail: MAIL.@SSU.EDU.GE

ბატონო შოთა,

თქვენი მიმდინარე წლის 15 აპრილის №02-01-29435-21 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი N16-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.17.01.108.012) დაგეგმილი დამხმარე ნაგებობის დემონტაჟისა და ახლის აშენების შემთხვევაში სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებას და მილსადენების შესახებ ინფორმაციის მოწოდებას გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე განთავსებულია შპს „თბილისი ენერჯის“ მოქმედი მიწისზედა D=80 მმ-იანი დაბალი წნევის გაზსადენი, ხოლო წითელი ხაზების სიახლოვეს მოქმედი მიწისქვეშა D=80 მმ-იანი; მოქმედი მიწისზედა D=20 მმ-იანი და D=50 მმ-იანი დაბალი წნევის მილსადენები.

ჩვენ თანახმა ვართ განახორციელოთ დაგეგმილი სადემომტაჟო-სამშენებლო სამუშაოები, თუ აღნიშნულ გაზსადენებთან მიმართებაში დაცული იქნება ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობები კერძოდ: მშენებლობის შედეგად არ უნდა შეიზღუდოს მილსადენის გეგმიური ტექნიკური მონიტორინგის პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მისი შესაბამისი მომსახურების შესაძლებლობა, ხოლო სამუშაოების წარმოებისას არ უნდა მოხდეს გაზსადენის დაზიანება. მანძილი მიწისქვეშა გაზსადენის ღერძებიდან ასაშენებელ შენობა-ნაგებობის საძირკვლებამდე უნდა განისაზღვროს არანაკლებ 2 მეტრით.

დამატებით გაცნობებთ, რომ სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა წარმოადგინოთ ასაშენებელი ობიექტის არქიტექტურული პროექტი და გენგეგმა.

წარმოგიდგენთ აღნიშნულ ტერიტორიაზე გაზსადენების განლაგების სქემატურ ნახაზს.

დანართი: სქემატური ნახაზი-1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში


1:800
D = 100
D = 80
D = 70
D = 80
D = 100
D = 150
D = 80
D = 80
01.17.01.108.012
პირობითი აღნიშვნები
შპს "თბილისი ენერჯის" მფლობელობაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი
შპს "თბილისი ენერჯის" მფლობელობაში არსებული მიწისზედა გაზსადენი
მიწის ნაკვეთი ს/კ 01.17.01.108.012
თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ.3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

Номер: 0423/380/21
Дата: 23/04/2021

შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი"-ს
რექტორ ბ-ნ სერგო ტეფნაძეს

15.04.2021 #0415/836/21 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე (ს.კ.01.72,01.108.012) არსებულ მიწის ნაკვეთზე და არ გადის სს "თელასის" ბალანსზე რიცხული ელექტროგადამცემი ხაზები.

სს „თელასის“ გენერალური
დირექტორი ს. კობცევი

შემს.შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების
განყ. უფროსი მ. ჩიღუნაძე
ტელ. 2 77 99 99 1(7959)

სილქნეტი
SILKNET

№ 2213/24-8 "18" 04 2024

შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი“-ს რექტორს
ბატონ სერგო ტეფნაძეს
ქ. თბილისი, ქ. დედოფლის გამზ. #16
ტელ: 2776571

ბატონო სერგო,

თქვენგან შემოსული წერილის (#598/24; 12/04/2024წ.) პასუხად, რომელიც ეხება სს „სილქნეტის“ თანხმობას მშენებლობაზე ქ. თბილისში, ქ. დედოფლის გამზ. #16-ში, მიწის ნაკვეთზე ს. კოდით 01.17.01.108.012 და მიმდებარედ გადის სს „სილქნეტის“ მიწისქვეშა კომუნიკაციები, რომელსაც გაწვდით თანდართულ CD დისკზე შეიპ ფაილის ფორმატში. წარმოდგენილი გენ-გეგმის თანახმად სს „სილქნეტის“ მიწისქვეშა კომუნიკაციები და საპროექტო შენობა არ მოდის კვეთაში ერთმანეთთან. სს „სილქნეტი“ არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მშენებლობა წარმოდგენილ გენ-გეგმაში საპროექტო შენობის ადგილის გათვალისწინებით და ქვემოთ მოცემული პირობების სრული დაცვით.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ნაკვეთზე სამუშაოების წარმოებისას სს „სილქნეტის“ კუთვნილ ნებისმიერი სახის კომუნიკაციას დაემუქრება დაზიანების საფრთხე, განმცხადებელი(სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია:

დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს „სილქნეტი“-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული სამსახურის ნომრებზე: 2950029 ან 2932740.

სამშენებლო მოედნის მოწყობის შემთხვევაში სს „სილქნეტის“ წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ 24 საათიანი დაშვება კუთვნილ კომუნიკაციებთან.

ხაზობრივი ნაგებობის დაზიანების შემთხვევაში დაგეკისრებათ ზარალის ანაზღაურების ვალდებულება.

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ირაკლი აბაშიძე

446/24
22 04 2024



გენგეგმა 1:500
პირობითი აღნიშვნები
-ის კოორდინატთა სისტემის კოლონი
სს "სილქნეტი"
შეთანხმებულია
ოპერატიული მართვა: 2 95 00 29, 2 93 27 4
15-04.24

შპს "მაგთიკომი"
№ ED-24/04/16-021
16-04-2024 წ.

მაგთიკომი
MAGTICOM

შპს ,,საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი''-ს დირექტორს
ტ.მ.დ პროფესორს ბატონ სერგო ტეფნაძეს
(ს/ნ 206155328)

ბატონო სერგო,

თქვენი 2024 წლის 12 აპრილის N599/24 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში მოცემულ ტერიტორზე (ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზ. #16 ს/კ01.17.01.108.012) გადის შპს „მაგთიკომის“ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, რასთან დაკავშირებითაც გიგზავნით სიტუაციურ ნახაზს.

ჩამოთვლილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში, შპს „მაგთიკომი“ არ არის წინააღმდეგი შეასრულოთ დაგეგმილი სამუშაოები.(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას მექანიზმებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება დასაშვებია შპს ,,მაგთიკომი''-ს საკუთრებაში არსებული კომუნიკაციიდან არანაკლებ 1 მეტრის დაშორებით.
- კომუნიკაციის 1 მეტრზე ნაკლები მანძილის შემთხვევაში, სამუშაოები შესრულდეს არამექანიზირებული მეთოდით, ხელით.

იმ შემთხვევაში თუ მიწის ნაკვეთზე ჩატარდება რაიმე სახის სამშენებლო სამუშაო რაც გამოიწვევს შპს „მაგთიკომის“ საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დაზიანებას, პასუხისმგებლობა და მისი აღდგენისათვის გაწეული ხარჯები სრულად დაეკისრება სამუშაოების შემკვეთს/შემსრულებელს.

ჩვენი კომუნიკაციის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით გთხოვთ, სამუშაოების დაწყების დრო გვაცნობოთ ხუთი სამუშაო დღით ადრე. ტ: 595 108910: 599 172727.

დანართი: არსებული კომუნიკაციის სიტუაციური ნახაზი, ერთი ფურცელი.
შემსრულებელი: ლაშა ჭავჭანიძე. ტ 599 172727

პატივისცემით

მთავარი ადმინისტრაციული ოფიცერი

/ნოდარ ბაღათურია/

შპს „მაგთიკომი“ / Magticom LLC; საიდენტიფიკაციო კოდი / Identification Number 204876606
პოლიტკოვსკაიას ქ. N7, თბილისი 0186, საქართველო / 7 Politkovskaya St., Tbilisi 0186, Georgia
ტელ./ Tel: (+995 32) 217 17 17; (+995 32) 217 17 77; ელ.ფოსტა / E-mail: office@magticom.ge

www.magticom.ge

დოკუმენტის ნომერი: 240416016

Classification: MAGTICOM Confidential

Digitally signed by MagtiCom LLC
2024.04.16 17:40:23 +0400